პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი მეომარი

1923
აგვისტო
5
კვირა
მზე ამ. 4 ს. 2წ.
ჩავ. 7 ს. 30 წ.
შესხ. მოვლენათა დღიური
1917 წ. საზამთრო სასახლეში თათბირი

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სახალხის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა
კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე
გარდა კვირა უქმე დღეებისა
9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური
ფასი 1 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 335 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 50.000 მანეთი. № 335

ანტანტა იშლება.

საფრანგეთსა და ინგლისს შორის დაწყებული კონფლიქტი თანდათან მწვავდება და დაშლით ემუქრება „ძლევამოსილ" ანტანტას.

თანახმად უკანასკნელი რადიოცნობებისა ინგლისის მმართველ წრეებში საფრანგეთ-ბელგიის პასუხმა დიდი მითქმა, მოთქმა და უკმაყოფილება გამოიწვია, რასაც შედეგათ მოყვა ინგლისის მთავრობის დეკლარაცია.

თავის დეკლარაციაში ინგლისი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ საფრანგეთმა სარეპარაციო საკითხის გადაწყვეტისათვის თავიდანვე აიღო ისეთი გეზი, რომელმაც არა თუ დააჩქარა გერმანიის მიერ ვალების გადახდა, არამედ შექმნა ისეთი პირობები, რომლის გამო რეპარაციების განაღდება შეუძლებელი ხდება. დასასრულ დეკლარაცია აღნიშნავს რა საერთაშორისო მდგომარეობის გართულებას საკონტრიბუციო საკითხის გაზვიადებით და საფრანგეთ-ბელგიის სურვილს ასეთი მდგომარეობის გაგრძელებაზე, ის სთხოვს მოკავშირეებს ნებართვას რათა გამოქვეყნებული იქნას „თეთრი წიგნის" შინაარსი ე. ი. ყველა ის საიდუმლო მიწერ-მოწერანი ინგლისსა და მოკავშირეებს შორის, რომელიც სწარმოებდა სარეპარაციო საკითხის გარშემო.

როგორც ჩანს საფრანგეთის პასუხმა მეტად გააბრაზა ინგლისის მთავრობა და ის შურის ძიებით აღსავსე ცდილობს ნიღაბი ახადოს პუანკარეს პოლიტიკას და მის თავგამეტებულობას შეუკვეცოს ფრთები.

ასე თუ ისე აშკარაა ის რომ საფრანგეთის ასეთი პასუხისა და ინგლისის პრემიერთა გამოსვლების შემდეგ ლორდთა და თემთა პალატებში შეუძლებელია ლაპარაკი რაიმე შეერთებული პასუხის გაცემაზე ანტანტის სახელმწიფოების მიერ გერმანიის ნოტაზე.

საფრანგეთის მტაცებლურმა პოლიტიკამ ძლიერად გააძლიერა ცენტრალურ ევროპის ეკონომიური კრიზისი და შეიტანა არევ დარევა ვაჭრობა აღებ-მიცემობის სფეროში, რომ საგრძნობლად შეასუსტა ინგლისის საგარეო სავაჭრო ოპერაციების საქმე.

ცხადია ინგლისის იმპერიალიზმი არას დროს არ შეურიგდება საფრანგეთის ასეთ საქმიანობას. აქედან კი ის დასკვნა, რომ რაც დრო მიდის და საერთო კრიზისი მწვავე ხასიათს ღებულობს, ამ ორ სახელმწიფოთა მიერ აღებული პოლიტიკური ხაზები თან და თან შორდებიან და უპირდაპირდებიან ერთმანეთს.

ამავე დროს კი რურის ოლქში კიდევ გრძელდება საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების თარეში. სამხედრო დიქტატურამ საფრანგეთის მთავრობისა ჩინებულად შეასრულა გამანადგურებელის და დამგრეველის როლი.

სიცოცხლით სავსე რურის ოლქი დღეს ძლივს ღაფავს სულს ფრანგ ოკუპანტის ჩექმების ქვეშ. გერმანიის მარკა ელვის სისწრაფით ეცემა, სურსათ სანოვაგე საკმაოდ არ მოიპოება, შიმშილისაგან ღონე მიხდილ მუშებს გერმანიის პოლიციელები მათრახებით უმასპინძლდებიან.

იბადება კითხვა! ადგია რაიმე მიზან შეწონილ გზას ანტანტა ამ კრიზისის თავიდან ასაცილებლად? ამაზე ზედმეტია ლაპარაკი.

მარტო ის ფაქტი, რომ საკონტრიბუციო საკითხი ხდება მთავარ მიზეზად ანტანტის დაშლისა, მოწმობს იმას რომ ევროპის დღევანდელი მესვეურები უძლური არიან გამოვიდენ ამ საშინელ ქაოსისაგან.

და ეს მდგომარეობა გაგრძელდება მანამ, სანამ ევროპის პროლეტარიატი შეერთებული ძალით თვითონ აიღებს ძალა-უფლებას ხელში და ბოლოს მოუღებს ყველა ჯურის იმპერიალისტების საქმიანობას.



ამხ. რაკოვსკი

უკრაინის სახალხო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ამ ჟამად დანიშნულია ი. ს. ფ. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლად ინგლისში და სავაჭრო დელეგაციის უფროსად ლონდონში ამხ. კრასინის მაგიერ.

პრესა

გაზეთ „პრავდაში" რუსეთ-იაპონიის დამოკიდებულების შესახებ სწერენ: „იაპონიის დიპლომატები წინასწარვე სთვლიდენ საჭიროდ წამოეყენებიათ ჩვენთვის ისეთივე მოთხოვნილებები, როგორიც წამოაყენეს გენუას და ჰააგაში: პასუხის მგებლობა ნიკოლოზის დროის ამბების გამო, პორტსმუტის ხელშეკრულების ცნობა, უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომთათვის კერძო საკუთრების დაბრუნება და გადახდა ძველი ვალებისა.

მაგრამ გენუის შემდეგ ძალთა წონასწორობა შეიცვალა და არა იაპონიის, არამედ საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ. ჩვენ მხოლოდ გვაკვირვებს, რომ შორეულ აღმოსავლეთის დიპლომატები ასე ცუდი შორს მჭვრეტელნი არიან თავის ანგარიშებში.

ვერ უწევენ ანგარიშს შექმნილ მდგომარეობას, ვერ ადევნებენ თვალყურს თუ როგორ იზრდება სიმპატია საბჭოთა რუსეთისადმი ამერიკაში. იქ სურვილი აქვთ მოხდეს შეთანხმება, მანამ სანამ ჩვენ შევუთანხმდებოდეთ იაპონიას.

იაპონიის დიპლომატებმა ეს იციან მაგრამ მაინც ჰკარგავენ დროს. ჩვენს წინაღმდეგ მტრულად განწყობილი გაზეთებიც კი ამტკიცებენ, რომ თუმცა დამთავრებული მოლაპარაკებისაგან არაფერი გამოვიდა, მაინც უნდა ითქვას, რომ პოზიცია რომელიც უჭერია მოსკოვის მთავრობას, სავსებით შეესაბამება იაპონიის მთავრობის პოზიციას, მაშასადამე რატომ არაფერი გამოვიდა მოლაპარაკებისაგან?

— იმიტომ, რომ იაპონიის დიპლომატებს უნდათ სხვის ჯიბეში ჩაძრომა..."

გაზეთ „იზვესტია" მოწინავე წერილში „ჩინეთის ამბები" და რუსეთ ჩინეთის მოლაპარაკება," სწერს: „ჩინეთში მთავრობის კრიზის გრძელდება. წინანდელი კაბინეტი შან მუღენის გადადგა. პრეზიდენტი ლიიუან-სან გაიქცა. ახალი კაბინეტი შექმნის ცდა ჯერ-ჯერობით უშედეგოა.

ეს ამბები ჩინეთში შეხვდა რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკების მზადებას, რომლისთვისაც გაგზავნილია ამხ. კარახანი. ჩინეთის რესპუბლიკის, რომელ მთავრობასთან უნდა აწარმოოს მოლაპარაკება ჩვენმა რწმუნებულმა?

ჩინეთის მთავრობის კრიზისი ფრიად რთული ხასიათისაა. პრეზიდენტის სავარძლისათვის ამჟამად იბრძვის ორი სამხედრო ჯგუფი. ტიან-ცზინში თავი მოიყარეს სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლებმა მდგომარეობიდან გამოსავალის მოსანახავად. პეკინში ვიცე—მინისტრებმა შექმნეს რაღაც თავისი „კაბინეტის" მსგავსი. გაქცეულმა პრეზიდენტმა შეადგინა თავისთვის ახალი კაბინეტი. ეს კაბინეტების სიმრავლე გენერლების ურთიერთშორის ბრძოლა გულისხმობს კრიზისის დიდი ხნით გაგრძელებას.—და ყველაფერი ეს ხელს უშლის და შეუძლებლათ ხდის რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკების დაწყებას.

საბჭოთა კავშირმა გააკეთა ყველაფერი რათა მომხდარიყო დაახლოება ჩინეთთან. მაგრამ თუ მოლაპარაკება დიდხანს ვერ მოხერხდება ეს ჩვენი ბრალი არ იქნება".

ცნობები

— იაპონიის პრესა მხარს უჭერს რუსეთ-იაპონიის დაახლოებას.

— საფრანგეთი და ბელგია პროტესტს აცხადებენ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს განზრახვის გამო, რომ გამოაქვეყნონ სარეპარაციო საკითხების შესახებ მიწერ-მოწერები.

— რურის ოლქში შიმშილობაა.

— კუნოს კაბინეტის მდგომარეობა თან და თან უარესდება.

— როგორც სან-ფრანცისკოდან იუწყებიან 2 აგვისტოს გარდაიცვალა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გარდინგი.

— გერმანიაში ობერგაუზენში მოხდა მუშების და პოლიციის შორის სისხლის მღვრელი შეტაკება.

— ინგლისს განზრახული აქვს მოაწყოს სინგაპურში თავის საზღვაო ბაზა.

სინაის კონფერენციის გარშემო

კონფერენცია დამთავრდა მსგავსად „დიდ სახელმწიფოთა"

სინაის კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება ვენგრიის სესხის საკითხის შესახებ. ირჩეოდა საკითხი აგრეთვე მცირე ანტანტის საერთო პოლიტიკის შესახებ. გერმანიის რეპარაციის საკითხში სძლევდა საფრანგეთის თვალსაზრისი. შემდეგი კონფერენცია, ალბად, ბელგრადში შესდგება, ერთა ლიგის სესიის დამთავრების შემდეგ.

სინაის კონფერენცია ჩაფლავდა.

ავსტრიის პრესა აღნიშნავს, რომ სინაის კონფერენციის მონაწილენი ვერ შეთანხმდენ ვერც ერთ საკითხში, გარდა ვენგრიისა.

განზრახვა რუმინეთისა პოლონეთის მცირე ანტანტაში ჩარევის შესახებ, და აგრეთვე წინადადება „დიდ სახელმწიფოთა კავშირის დაარსებისა" მცირე ანტანტის გვერდით, დამთავრდა მარცხით.

სინაის კონფერენციამ აშკარად დაამტკიცა მცირე ანტანტის სახელმწიფოთა, გაერთიანების შეუძლებლობა.

ვენგრიის პრესა უკმაყოფილოა.

სინაის კონფერენციის გადაწყვეტილებას ვენგრიის სესხის შესახებ ერთობ პესსიმისტურ კომენტარიებს უკეთებს ვენგრიის პრესა. გაზეთები ამბობენ, რომ მცირე ანტანტა სცდილობდა ვენგრიის სესხის საკითხით ესარგებლა ვენგრიის საშინაო საქმეში ჩასარევად. მმართველი წრეები მაინც აღნიშნავენ ვენგრიის მცირე ანტანტასთან მოლაპარაკების შესაძლებლობას.

პოლონეთ-რუმინეთის სამხედრო შეთანხმება.

პოლონეთის წარმომადგენელმა პოლიცმა განაცხადა პრესაში, რომ მივიდა სინაიში პოლონეთ-რუმინეთის სამხედრო შეთანხმების მოსახდენად და ამ ორ სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ ეკონომიურ ურთიერთობის მოსაგვარებლად. პოლიცს თათბირი ჰქონდა იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრ ნინჩინთან, ჩეხოსლოვაკიის და რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს,—ბენეშსა და დუკასთან.

სარეპარაციო საკითხი და რურის კონფლიქტი.

ილაპარაკეს და ვერაფერი ვერ სთქვეს.

ბალდვინი თემთა პალატაში და კერზონი ლორდთა პალატაში გამოვიდენ განცხადებებით სარეპარაციო საკითხის გარშემო. გადმოსცეს რა ინგლისსა და საფრანგეთს შორის მოლაპარაკების მსვლელობა, იმათ, მაინც არაფერი სთქვეს არსებითად ინგლისის მთავრობის უახლოეს მიზნებზე.

მაკდონალდის სიტყვა.

მაკდონალდი, რომელიც გამოდის შემდეგ, აცხადებს კმაყოფილებას მთავრობის გადაწყვეტილებაზე სარეპარაციო პოლიტიკის გადახედვის შესახებ.

მაკდონალდი ამტკიცებს, რომ არსებული მდგომარეობა მოითხოვს ინგლისიდან გაბედულ ზომებს, ვინაიდან ომის შედეგებით ინგლისი საფრანგეთზე უფრო დაზარალდა. მაკდონალდმა აღნიშნა, რომ მცირე

კრედიტიც კი, გერმანიისათვის, ქვანახშირისა და სურსათის შესაძენად საზღვარ-გარეთ, საკმაო იქნებოდა რომ უკანასკნელი ფეხზე წამოეყენებია.

გამოჭიმული ,,ბატონის“ წინაშე.

ამერიკის პრესის წარმომადგენლის განცხადებით, მაკდონალდი (ინგლისის მუშათა პარტიის ბელადი) იმდენად ლოიალურად უჭერდა მხარს ბალდვინს, რომ მის სიტყვას ჰქონდა მთავრობის წევრის გამოსვლის ხასიათი. კულუარებში ისმოდა რეპლიკები საფრანგეთისა და ბელგიის წინააღმდეგ და აგრეთვე საჩივრები ბალდვინის პოლიტიკის გაურკვევლობის მიმართ.

დღის სინათლის ეშინიათ

პარიზის გაზეთი „ტანი“ სასტიკად ილაშქრებს კერზონის წინააღმდეგ მისი სურვილის გამო, რომ გამოამჟღავნოს ინგლის-საფრანგეთის მთავრობების მიწერ მოწერა და აღნიშნავს, რომ ეს გამოიწვევს ანტანტის დაშლას.

ბელგიამ ლონდონში განაცხადა პროტესტი ინგლისის განზრახვის გამო, რომ გამოაქვეყნოს „თეთრი წიგნი“ სარეპარაციო საკითხების შესახებ მიწერ-მოწერით.

ბელგია თხოულობს დამოკიდებელ პოზიციას.

ბელგიის პრესა თხოულობს მთავრობისაგან გამოვიდეს დამოუკიდებლად სარეპარაციო და რურის საკითხებში.

საიდუმლოების პოლიტიკა.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ სარეპარაციო საკითხების შესახებ მიწერ-მოწერა შენახული იქნება საიდუმლოდ ვინაიდან ამას დაჟინებით მოითხოვს საფრანგეთი, და იქნება გამოქვეყნებული მხოლოდ საფრანგეთის და ბელგიის თანხმობით.



ამხ. მარტი.

საზღვაო ძალების კომისარმა ზოფიმ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა, ეხლახან ციხიდან განთავისუფლებულ ფრანგ კომუნისტს ანდრე მარტის, რომელიც ესალმება მას რუს მეზღვაურთა სახელით. მეზღვაურებმა ამოირჩიეს ამხ. მარტი ს. ს. რ. კ. საპატიო მეზღვაურად და უწოდეს შავი ზღვის ფლოტის ერთ ერთ გემს მისი სახელი.

ადრე კი არა, შიშის ქარებია.

საფრანგეთის აკადემიკოსმა ბიუსონმა წერილობითი შეკითხვით მიმართა მთავრობას: მართალია თუ არა, რომ საფრანგეთის მთავრობამ არ მისცა ნებართვა რუსეთის წარმომადგენლებს, რომლებსაც სურდათ პარიზში რუსეთის ხელოვნების გამოფენის მოწყობა ბავშვების სასარგებლოდ. ამაზე საფრანგეთის საგარეო მინისტრმა გასცა პასუხი, რომ მან მართლა არ მისცა მოწმობები რუსეთის წარმომადგენლებს იმიტომ რომ რუსეთის გამოფენის მოწყობა პარიზში მას ნაადრევად მიაჩნია.

გაფიცვები გერმანიაში.

გერმანიაში ობერგაუზენი ოლქში კვლავ დაიწყო გაფიცვები ქარხანა „იმედის“ მუშებმა მოაწყვეს დემონსტრაცია და მოითხოვეს სამუშაო ხელფასის გადიდება. მუშებმა გადააყენეს საფაბრიკო საქარხნო კომიტეტი, რომელიც შესაფერისად ვერ იცავდა მუშების ინტერესებს. ობერგაუზენის ქალაქის მუშები მოითხოვენ ერთდროულ დახმარებას სახით ნახევარ მილიარდ მარკას. საქსონიის ნახშირის რაიონში მაღაროების მუშების გაფიცვა გრძელდება ხემნიცში გაფიცვა გამოაცხადეს სტამბის მომუშავეებმა.

ჩვენ და ისინი.

იაპონია.

იაპონიას უნდა რუსეთთან დაახლოება.

კონსტიტუციონურ — მონარქისტული გაზეთი „ნიცი“, რომელიც ჩვეულებრივ მტრულად უყურებდა რუსეთ-იაპონიის შეთანხმებას, მოწინავე წერილში, სწერს: „იოფეს მოლაპარაკება კავაკამისთან იყო წამოყენებული წარმატებით, ვინაიდან მოლაპარაკებამ გამოააშკარავა, რომ რუსეთსა და იაპონიას გულწრფელად სურთ ერთმანეთთან დაახლოება. ამისათვის იაპონის მთავრობა, სიამოვნებით დასთანხმდება თუ რუსეთი მისცემს წინადადებას, რომ გაიხსნას ფორმალური კონფერენცია.

უკმაყოფილონი არიან თავის წარმომადგენლით.

იაპონიის პრესა სასტიკად ჰკიცხავს იაპონიის საზღვაო ატტაშეს ლონდონში ადმირალ ტოზეს, რომელმაც განაცხადა, რომ სინგაპურში ინგლისის საზღვაო ბაზის მოწყობა არ ეწინააღმდეგება იაპონიის ინტერესებს.

მთავრობის გაზეთი „კოკუმინ“ სწერს, რომ ასეთი განცხადება შეეძლია გააკეთოს ინგლისელმა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა იაპონის ოფიცერმა. იაპონიის საზღვაო ავტორიტეტები სინგაპურის პროექტის განხორციელებას სთვლიან იაპონიის ნაციონალურ თავდაცვისათვის და წყნარ ოკეანეზე მშვიდობიანობის საფრთხედ.

სხვა და სხვა ამბები

საბერძნეთი.

მასსიური დემონსტრაციები სიძვირის წინააღმდეგ.

ათინის მუშათა ბირჟამ მოაწყო მასსიური დემონსტრაციები სიძვირის წინააღმდეგ.

ბრბო სპეკულიანტებს ემუქრებოდა.

საბერძნეთის პრემიერმა პლასტირასმა შეჰპირდა დემონსტრანტების დელეგაციას, რომ მიიღებს ზომებს სპეკულიაციის წინააღმდეგ.

გაცემულია განკარგულება, რომელიც უკრძალავს ვალიუტით ვაჭრობას.

გერმანია.

კუნო ბეწვზე ჰკიდია.

მემარცხენე პრესა განაგრძობს კამპანიას კუნოს მთავრობის წინააღმდეგ, აღნიშნავენ რა, რომ მთავრობის მიერ მიღებული ზომები ფინანსიური კრიზისის შესამსუბუქებლად, სრულიად არ არის საკმარისი. ფაშისტური პრესაც თავს ესხმის კუნოს, ბრალსა სდებს მას არასაკმარის აქტიურობაში.

გერმანელ მწერალ-კომუნისტის დაპატიმრება.

ბავარიის პოლიციამ დაატუსაღა მიუნხენში ცნობილი მწერალი-კომუნისტი ბუღლი.

პოლიციასთან შეტაკების მსხვერპლნი.

ობერგაუზენში, მუშების გერმანიის პოლიციასთან შეტაკების დროს მოკლულია ორი და რამდენიმე დაჭრილი.

ინგლისი.

დედამიწის ირგვლივ ჰაეროპლანით მოგზაურობა.

ინგლისელი ავიატორები მაგელანი და მალენსი, რომელნიც ემზადებიან ჰაეროპლანით დედამიწის ირგვლივ სამოგზაუროთ, გადაფრინდებიან მატორის გამოსაცდელად.

რუმინია.

ყვითელ პროფინტერნის წინააღმდეგ საპროტესტო კონფერენცია.

რუმინიის პროფკავშირების საბჭო აგვისტოს დამლევს იწვევს ჰაუზენბურგში პროფკავშირების კონგრესს ამსტერდამთან შეერთების საკითხის განსახილველად. ჰაუზენბურგის კონგრესთან ერთად რუმინიის კომპარტია იწვევს მორგანშტადში კონფერენციას, განზრახულ ამსტერდამთან შეერთების წინააღმდეგ პროტესტის მიზნით.

იტალია.

ამხ. იორდანსკის ჩასვლა რომში.

პარიზი 2 აგვისტო. საბჭოთა რესპუბლიკების ახალი წარმომადგენელი იტალიაში—იორდანსკი ჩავიდა.

ბერლინი.

კუნო ეძებს დახმარებას.

პირველ აგვისტოს კუნომ (გერმა-

საჭიროა დროზე გვიხსნათ ასეთ შეფისაგან.

იმ დროს, როდესაც ყველა სამხ. ნაწილებს თავ თავიანთი შეფები შეძლების და გვარად ყოველ მხრივ დახმარებას უწევენ, ნამდვილი მამობრივი მზრუნველობით ეპყრობიან და სავსებით ახორციელებენ შეფობის ძირითად პრინციპს, ქართული დივიზიის საავადმყოფო მოკლებულია ასეთ მზრუნველობას და გულზე ხელ-დაკრეფილი (ვინაიდან არავითარმა ზომებმა არ გასჭრეს!) მოელის იმ წამს, როდესაც მისკენაც გადმოიხედავენ მოწყალების თვალით.

მაგრამ, აგერ ოთხი თვეა, ველით ამ ბედნიერ წამს და არ იქნა, ვერ ველირსეთ.

რაშია საქმე?

ნუ თუ დივიზიის საავადმყოფო არ არის ღირსი სათანადო ყურადღებისა, სათანადო დახმარების აღმოჩენისა?

შეიძლება იფიქროთ, რომ ჩვენ შეფი არ გვყავდეს, ან უმაღლეს ორგანოს არ სურდეს, რომ გვეყოლოს ასეთი?

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ შეფი გვყავს, უმაღლესი ორგანო ჰფიქრობს, რომ ჩვენ მისგან — ე. ი. ჩვენი მამობილისაგან — ვღებულობთ რაიმე დახმარებას; საქმით კი ჩვენ მისგან ვერაფერსაც ვერ ვხედავთ.

ვინ უარყოფს იმას, რომ დღესდღეობით — სანიტარიის მხრივ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ქართულ დივიზიაში.

ყველამ კარგად უწყის, რომ სანიტარია ჩვენთან, უსახსრობის გამო არ არის თავის სიმაღლეზე დაყენებული.

ავიღოთ უბრალო მაგალითი: საავადმყოფოში მოთავსებული იყო კბილის საექიმო კაბინეტი, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა წითელ არმიელებსა და უფშემადგენლობას დივიზიის მასშტაბით.

ერთ მშვენიერ დღეს გაფუჭდა კაბინეტის მთავარი აპარატი, რომლის შეკეთება დაახლოვებით მოითხოვდა 25 მილიონ მანეთს. ვინაიდან საავადმყოფოს არ გააჩნდა არავითარი წყარო აღნიშნულ აპარატის შესაკეთებლად კაბინეტი დახურულ იქნა, და ეს იმ დროს, როდესაც ათობით ავადმყოფები გვაწყდებოდა კარზე სხვადასხვა ნაწილებიდან.

იბადება კითხვა: ასეთ შემთხვევაში შეფს უნდა აღმოეჩინა თუ არა რაიმე დახმარება ჩვენი ნაწილისათვის?

არ უნდა გაუშვათ მხედველობიდან ისიც, რომ მაშინის შეკეთება, ეს ნიშნავდა დახმარების აღმოჩენას არა მარტო საავადმყოფოსათვის, არამედ მთელ დივიზიის ნაწილებისათვის, ვინაიდან აღნიშნული კაბინეტი ემსახურებოდა მთელ დივიზიას.

ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში ესეც საკმარისია.

მეორე მხრით უნდა აღინიშნოს ის, რომ დივიზიის საავადმყოფოში წოლიარე წითელ არმიელებს, რომლებიც მოვლენილნი არიან სხვა და სხვა ნაწილებიდან უნდა მიექცეს მეტი ყურადღება

— რა მხრით? — იკითხავთ თქვენ. ჩემის აზრით, არავისთვის სადავო საკითხს არ წარმოადგენს ის, რომ კვება ავადმყოფებისა მხოლოთ იმ სურსათ-სანოვაგით, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ ცენტრალურ სასურსათო საწყობიდან, ყოვლად შეუძლებელია.

არ შეიძლება ჯანმრთელი წითელი არმიელი და ავადმყოფი, ერთდა იმავე დროს იკვებებოდეს ლობიოთი, ან ხორბალის ფაფით. ავადმყოფისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რძე, კვერცხი, ერბო და მრავალი სხვა წვრილმანები.

შეიძლება ვინმემ სთქვას: თქვენ ხომ ღებულობთ ამისათვის საჭირო თანხას!

მართალია, ვღებულობთ, მაგრამ აკმაყოფილებს თუ არა ეს მიღებული თანხა მოთხოვნილებას, აი რას უნდა მიექცეს ყურადღება.

დღევანდელ პირობებში, როდესაც სათანადო დონეზე ვერ არის დაყენებული ჯარში მომარაგების საქმე, უმთავრესად ფულის მხრივ, როდესაც ყოველ დღიურად მატულობს ბაზარზე საქონლის ფასი, რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში მიღებული ფულის რაოდენობა ნახევრადაც ვერ დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას.

ჩემის აზრით შეფი იმიტომ ჰყავს ნაწილს, რომ ასეთ გაჭირვების დროს მიეშველოს მას.

ეხლა გადავიდეთ მესამე მხარეზე, რომელიც დიდათ მნიშვნელოვანია და რომლისთვისაც უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს შეფს. ეს არის საპოლიტ-საგანმანათლებლო და კულტმუშაობა ჯარში.

თუ ვინმეს თქვენგან გამოუცდია ავადმყოფობა, მაშინ თქვენთვის ნათელი იქნება თუ რა ძნელია საავადმყოფოში წოლა. მით უმეტეს ისეთში, სადაც საერთო მოწყენილობაა და არ აქვს ავადმყოფს არავითარი საშვალება, რომ რამეთი გაერთოს. ამ მხრივ ჩვენთან არაფერი გაკეთებულა და ავადმყოფები მოკლებულნი არიან ყოველგვარ სულიერ საზრდოს თუ არ მივიღეთ მხედველობაში ბიბლიოთეკას და იმ ორ ან სამ წარმოდგენებს, რომელიც იმართება ძლივ ძლივობით ჰოსპიტალის საკუთარი ძალებით. მოკლებულნი ყოველ გვარ სახსარს განმეორებით ვამბობ, რომ ამ მხრივ ჩვენთან საგრძნობი არაფერი გაკეთებულა. ზემო ნათქვამიდან როგორც სჩანს ნაწილში ბევრი რამ ყოფილა გასაკეთებელი სხვა რამ რომელიც მოითხოვდა შეფისაგან სათანადო დახმარებას და არ გაკეთებულა შეფის უყურადღებობის გამო.

მაინც კონკრეტულად რით დაგვეხმარა შეფი? — 60 მილიონი მანეთით წლინახევრის განმავლობაში!?

ჩემის აზრით დაცინვა და სხვა არაფერი აქ მოყვანილ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აღნიშნულ თანხის გაცემა. ამ უკანასკნელ ოთხი თუ ხუთი თვის განმავლობაში კი სრულებით არაფერი მიგვიღია. როდესაც მივმართავდით ჩვენ შეფს ს. ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს დახმარებისათვის, ის გვიპასუხებდა არ გვაქვს და რა მოგცეთო. ჩვენ ამის შესახებ მაშინვე ავღძარით საქმე შეფთა ბიუროში. დაახლოვებით ივლისის შვა რიცხვებში წავაწყდით გაზეთ „წითელ-არმიელ“-ში შეფთა ბიუროს დადგენილებას; სადაც წინადადება ეძლევა ჯანმრთელობის კომისარიატს „მაქსიმალური ყურადღება მიაქციეთ დივიზიის საავადმყოფოს“ ჩვენ ამ დადგენილებით კვლავ მივმართეთ მას, მაგრამ შეფმა როგორც წინეთ ისე დღესაც გვიპასუხა „არა გვაქ და რა უნდა მოგცეთ“.

მე აქ არ შევუდგები იმის მტკიცებას შეუძლია თუ არა მათ ჩვენთვის დახმარების გაწევა მაგრამ ერთი კი ცხადია სახელდობრ ის რომ სურვილი, რო ყოფილიყო შეფის მხრივ გამოსავალი გზა უეჭველად ინახებოდა, მაგრამ ასეთი სურვილი მათში ჩემის აზრით არ არსებობს და აბა საავადმყოფოს რა ძალა აქვს, რომ აიძულოს მათ არა სასურველი ნაბიჯის გადადგმა. აქ ერთი გარემოებაა გასაკვირი; რატომ ჩვენი შეფი არ ცდილობს გაინთავისუფლოს თავი ისეთ აღჭურვილი მოვალეობისაგან რომლის შესრულებაც მას არ შეუძლია, რომ ამით საშვალება მიეცეს საავადმყოფოს ახალ შეფის მიღებისა, რომელიც გაგვიწევს სათანადო დახმარებას საჭიროების დროს.

ბოლოს მე მოვითხოვ ზემო აღნიშნულ მოვლენას მიექცეს სათანადო ყურადღება; ერთხელ და სამუდამოთ ეს საკითხი იქნას გადაჭრილი საავადმყოფოს სასარგებლოდ, მოშორებულ იქნას თავიდან უძლური შეფი და მის მაგივრად კი მიაღებინონ ჩვენზე შეფობა სხვა დაწესებულებას, ამას მოითხოვს საავადმყოფოს საარსებო ინტერესები.

წ. არ. **ერმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიის პრემიერი) მიიღო სოციალ დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმის წევრები, მათთან ერთად მთავრობის პროგრამის განსახილველად.

ხავსს ექიდებიან.

გერმანიის მემარჯვენე პარტიის დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ უჭერს მხარს მთავრობას. ბურჟუაზიულ დემოკრატიულ პარტიას, კუნოს და აგრეთვე ცენტრის ორგანოები, რომლებიც გამოდიოდენ კუნოს კაბინეტის წინააღმდეგ ეხლა მიუთითებენ მთავრობის კაბინეტის კრიზისის უდროობაზე.

წარმოიდგინეთ, შეიდამანის ორგანოც „ცაიტ"იც აცხადებს, რომ შექმნა დიდის კოალიციისა ნაადრევია. კუნოს ამრიგად თამამად შეუძლია იმედი იქონიოს რომ ბურჟუაზია რამოდენიმე ხანს მას მხარს დაუჭერს.

წითელი ორბი

ხუთქიმა ვარსკვლავი
შვენის წითელ ფრთებს; —
ხუთივე მატერიკს
მაღლით ცეცხლს ანთებს!

ცისა კაბადონს
ჰკვეთს პროპელერი;
წითელი ჰანგით
მზე მშრომელთ ერის!.

მისცურავს ღრუბლებს
ელვიან ქარში,
გრგვინავს მოტორი
უცნაურ მარშით!

არ ერიდება
შავ მტრებთან ბრძოლებს;
მაღლა აკეთებს
სიკვდილის რგოლებს

ტურფა კომუნას
დღე-ღამ სდარაჯობს;
მისს უშიშ სრბოლას,
ამაყს, — არრა სჯობს!..

თუ საჭიროა
ძირს დაეშვება
შრომის მტრებს ცეცხლით
გულს დაესვება!..

სანელი.

ჩვენს წითელ ჯარში

ცალკე საკავშირო ათასეულში.

ამ ბოლო ხანებში გამოცოცხლდა მუშაობა ჩვენს ასეულში, კომ-უჯრედი თავის სიმაღლეზე სდგას, წინათ თუ კომ-უჯრედის ოქმები და ქაღალდები იბნეოდა და იკარგებოდა ეხლა ეს ასე არ არის. სამაგალითოდ არის მოწესრიგებული, ყოველი საქმე თავის ალაგას არის ჩაკერებული. წრეებიც მუშაობს, ტარდება სისტემატიურად პოლიტ საათი. ამ დღეებში უნდა გავეხსნა პოლიტიკური შემამოწმებელი კურსები, მაგრამ საქმეს ის აფერხებს, რომ ნაწილში არის სულ ორი პოლიტიკური მუშაკი და წითელ არმიელები კი ბლომათ არიან, ეხლა ის ნაწილი, ორ ნაწილათ არის გაყოფილი, სასწავლო ოცეული. წყნეთში არის პრაქტიკულ ვარჯიშობისათვის და დანარჩენი კი აქ არის. 1-ლი ენკენისთვის ჩამოვლენ აქ და შემდეგში საშუალება გვექნება, გავხსნათ პარტშემამოწმებელი კურსები, რომლისთვისაც მოწადინებული არიან მთელი ასეულის წითელ არმიელები.

სვირელი.

სალამი მე 3-მე ლეგიონს.

მე არ შემიძლია, რომ არ მოვიგონო მესამე ლეგიონი როგორც მისი ყოფილი წევრი 1921 წ. ივლისის თვეში, როდესაც ქუთაისის სადარაჯო რაზმი გადაკეთდა ქართულ ლეგიონად და მას სათავეში ჩაუდგა ამხ. სამსონ ლეკვთაძე, რომლის ენერგიული მუშაობით ლეგიონის საქმე კარგ ნიადაგზე იქმნა დაყენებული. უსურვებ წარმატებას ნაყოფიერ მუშაობას და გამარჯვებას მესამე ლეგიონის უფ და პოლიტშემადგენლობას, რომლებიც უფრო ენერგიულად განაგრძობენ მუშაობას ჩვენი წითელი ჯარის საკეთილდღეოთ, „გაუმარჯოს წითელ არმიას! გაუმარჯოს მესამე „ლეგიონს".

საკავშირო ასეულის სამხედრო კომისარი **მიშა მაჩიტაძე.**

სამხედრო რევტრიბუნალში

ა. წ. ივლისის ქართულ დივიზიასთან არსებულ სამხედრო რევტრიბუნალში შესდგა ამავე ტრიბუნალის თანამშრომელთა კრება. დღის წესრიგში განსახილველად იყო გაზეთ „წითელ არმიელის" დახმარება, რის შესახებაც ვრცელი მოხსენება გააკეთა ტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გიორგი ჯვარშეიშვილმა, რომელმაც ვრცლად გააშუქა თუ რა მნიშვნელობა აქვს წითელ რევოლიუციონურ ქართულ ჯარისათვის სულიერ საზრდოს გაზეთ „წითელ არმიელს". მოხსენებით თანამშრომლები დიდად კმაყოფილნი დარჩნენ და გადასდევს გაზეთ „წითელ არმიელის" სასარგებლოდ 5 პროც. თავის ჯამაგირიდან სამი თვის განმავლობაში.

მდივანი **ასათიანი**

დივჰოსპიტალის ცხოვრება

მუშაობა ცოტათი გამოკეთდა და საერთოდ უნდა ითქვას, რომ დივჰოსპიტალში ამ თვის განმავლობაში პოლიტ საგანმანათლებლო მუშაობას გაუმჯობესება დაეტყო. ჰოსპიტლის საკუთარი ძალებით გამართულ იქნა ორხელ მორიგი სალამოები. პოლიტ საათი წარმოებს სისტემატიურად; კომუჯრედი მუშაობს დამაკმაყოფილებლად. ჩატარებულ იქნა ორი აგიტკომპანია. ბიბლიოთეკა სდგას თავის სიმაღლეზე დაარსებული აქვს მკითხველთა წრე ცოტათი ხელს გვიშლის სათანადო ლიტერატურის უქონლობა. რამოდენიმეჯერ იქნა გატარებული პოლიტ-ლატარეა წითელ-არმიელთა პოლიტ ცოდნის შესამოწმებლად; შედეგი დამაკმაყოფილებელია. დამოკიდებულება წითელ არმიელებში და უფშემადგენლობაში, მხნეობა, სულიერი განწყობილება კარგია.

საჭიროა, ჰოსპიტალს მიექცეს მეტი ყურადღება და მოვლენილ იქნას საერთოდ მუშაობის თავის სიმაღლეზე დასაყენებლად პოლიტ მომუშავეები

წ არ. ერმა

პარტიული ცხოვრება

საკავშირო ასეულში.

ა. წ. ივლისის 27-ს შესდგა ცალკე საკავშირო ასეულის კომ-უჯრედის საერთო კრება.

კრებას დაესწრო ნაწილში დარჩენილი წითელ არმიელნი.

დღის წესრიგში იყო 2 მთავარი საკითხი გაზეთ „წითელ არმიელი"-ს დახმარება და საჰაერო-ფლოტის კვირეულის ჩატარება.

2-რივე საკითხებზე მოხსენება გააკეთა ამხ. მაჩიტაძემ, რომელმაც ნათლად და გარკვევით დაუსურათა კრებას ორივე საკითხების მდგომარეობა.

მოისმინა რა კრებამ ამხ. მოხსენება და გაითვალისწინა რა მდგომარეობა ამ საკითხების ირგვლივ, დაადგინა შემდეგი: პირველი, გაზეთ „წითელ არმიელი"-ს სასარგებლოთ გაიმართოს ორი ფასიანი სალამო, აგარაკ სოფელ წყნეთში. მეორე საჰაერო ფლოტის კვირეულის ჩატარების შესახებ დაადგინეს მოეწყოს საერთო კრებები სადაც გადაიდება ულუფა და რამოდენიმე პროცენტები, როგორც უფ, ისე წითელ არმიელთა შემადგენლობიდან. 3) მოეწყოს ხელის მოწერა უფშემადგენლობასთან სურვილ სამებრ, თუ ვის რამდენის დახმარება შეუძლიან ამ ორივე საკითხებისათვის. ამის გარდა გაირჩა სხვა და სხვა საკითხები, რის შემდეგაც კრება დაიხურა.

კომ-უჯ. ჰ. მ. მდ. შ. **ჩრდილელი.**

რაზედ გვწერენ

როგორც ეტყობა ვრჩებით უნუგეშოთ.

ჩვენ ამ ჟამათ ჰაეროდრომზე ვიმყოფებით ბანაკად, ამიერ კავკასიის საჰაერო ფლოტის ყველა შემადგენლობა და მუდმივათ კი ქართული ესკადრილია. გასულ ხანებში ჩვენ გვეძლეოდა „ტრამვაის" ფული რითაც გვიადვილდებოდა მიმოსვლა თფილისიდან ჰაეროდრომამდე. მაგრამ საუბედუროთ ეს „ტრამვაის" ფული მოგვიჭრეს, რის შემდეგ მივმართეთ „მუშა მატარებელს" რითაც ცოტათ თუ ბევრათ გვქონდა საშვალება მოგზაურობის. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ბედი სულ სხვაფერ შეიცვალა, ამ ბოლო ხანში „მუშა-მატარებელი" გახდა ფასიანი ე. ი. ბილეთების ყიდვა არის საჭირო. რომელსაც სამხედრო პირები ვერ შესძლებენ.

ამისათვის დიდათ გვიფერხდება სამსახურის საქმე, რომ გვინდა ადრე მისვლა—გვიხდება გვიან, ან კიდევ თავის დროზე ვერ მივდივართ.

ამისთანავე არც გვაქვს სხვა გამოსავალი გზა და ვრჩებით როგორც ეტყობა უნუგეშოთ. ამისათვის ვთხოვთ ვისგანაც ჯერ არს, გადმოიხედოს ჩვენსკენ და გაიგოს ჩვენი მდგომარეობა. მოგვცეს რაიმე საშუალება რომ თავისუფლათ ვიმოგზაუროთ.

ს. სამტრედიელი.

ახალი ამბები

გრანდიოზული სალამო.

დღეს კვირას 5 აგვისტოს ცენტ. წითელ არმიელთა კლუბში გაიმართება გრანდიოზული სალამო-სეირნობა კონცერტით. სალამოს შემოსავალი გადაიდება საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ.

საექიმო პერსონალის გაგზავნა სვანეთში.

ამ დღეებში წითელი ჯვრის საზოგადოება სვანეთში აგზავნის 3 ექიმს, 1 ფერშალს და 1 სანიტარს საჭირო წამლებით.

კომისიის დანიშვნა.

ქ. დივიზიის პოლიტგანყოფილებამ დანიშნა კომისია, რომელიც ამ დღეებში შეუდგება, მთელ ქართულ დივიზიაში, პოლიტიკურ ცოდნისა და სანიტარულ ცოდნის შემოწმებას.

პოლიტხელთა კურსების გახსნა.

2 აგვისტოს ქართ. დივიზიის სკოლასთან გაიხსნა პოლიტხელთა ორთვიანი კურსები.

დახმარება სვანეთის ბავშვებს.

ტფილისის ქალთა განყოფილების ინიციატივით შესდგა სვანეთის ბავშვთა დამხმარე კომისია.

პატარა ფელეტონი

ბეწვის ხიდი.

თენგიზთან

— ამხანაგო! მოახსენე თენგიზს, რომ გოჩმანს და ბეშტიას მისი ნახვა ჰსურთ მეტად საჭირო საქმეა თქო, „მიმართა ბეშტიამ თენგიზის კაბინეტის კარებთან მჯდომ, შავგვრემან ნაბდისქუდიან, კოხტა წითელ არმიელს, რომელიც ჩვეულებრივი ქართლიური სიზანტით ამთქნარებდა და უ ლაჟოთ მოუსვენარ ბუზებს იგერიებდა. მან მძიმედ, ეჭვის თვალით აგვხედ-დაგვხედა, ცხვირზედ თითი გაისვა, ზანტათ წამოიზლაზნა და შეაღო კაბინეტის კარები. ბეშტიამ კარების ჭუჭრუტანას მიადო ყური.

— ამხანაგო! აი, ორი ვიღაცა სასაცილო კაცი გკითხულობენ: ერთი სქელ-სქელია, რომ ათ ამ კარებში არ შემოეტევა და მეორეს კი ერთი მუშტი ტელაა. ორივეს რკინის ქალამნები აცვიათ და გძელი რკინის ყავარჯნები უჭირავთ. წელან კინაღამ ფანჯრები დაამტვრიეს... გოჩმანა და ბეშტია ვართო?..

— დაუძახე უთხრა თენგიზმა.

— მაშ, შემოვლალო ე ხალხიი?.

— აკი გითხარი, შემოუშვი მეთქი?!

— მოდით!.. ნება დაგვრთო წითელ არმიელმა და ჩვენც შევდგით ფეხი კაბინეტში.

თენგიზმა ქვევიდან შემოგვხედა, თვალები გაგვიშტერა და პატარა ხანს შემდეგ ტუქსვა დაგვიწყო.

— რას დაწრწიალებთ აქ? არავინ არ მოასვენეთ... ყველა შეაწუხეთ... კომენდანტმა მიამბნა, რომ აქაურობა აგიკლიათ, იქ დაგიწერიათ, რომ ჩხირი ეგდოო, უბრალოთ ხალხი იპარებაო, ტრამვაის ბილეთით შემოდიანო...— დღეს კი სოსო მარწმუნებდა, რომ სიკრუეაო..

— ეს სულ გოჩმანს ბრალია! უყვარს ბლაჯნა და ლევანიც, ხომ მოგეხსენება, მოხარულია მაგისთანა რამეების დაბეჭდვისა. გადამიბრუნდა ბეშტია და ბუზღარაობა დაიწყო. მე ბეშტიას თვალები დაუბრიალე და მოკუმშული მუშტი ქუდიდან დავანახვე.

— გოჩმან! რას უდგეხარ? დაბრძანდი! მომილაქუცა მუშტით დაშინებულმა ბეშტიამ.

— შენ დასუსტდები! ჩამოჯექი, აი მაგ სკამზედ. მე კი აქ სტოლზედ თენგიზთან ახლო, შევსკუპდები!" მიწვევდა დაჟინებით ბეშტია, გვეგონებოდათ მის კაბინეტში ვიმყოფებოდი. თითონ შეხტა მაგიდაზედ და თენგიზის ისეც დაჭყლეტილ ქუდზედ დაჯდა.

— ბეშტი! ქუდი, კაცო! რას შვრები? არ დაჭყლიტო!

— ოჰ! გოჩმან რა ხუმარა ხარ!? აბა, რა არი დასაჭყლეტი, რომ რაღაცეებს ამბობ?! მეცნიერულის პედანტიზმით ატრიალებდა ბეშტია თენგიზის ქუდს.

— დაჯექი, გოჩმან. მითხრა თენგიზმა, და მეც მძიმედ დავეშვი ერთად ერთ სკამზედ.

— რათ მოსულხართ ჩემთან, შემეკითხა მე თენგიზი.

— რათა და?! მე და გოჩმანს გვინდა მოვიაროთ ჩვენი ქართული წითელი დივიზია. „აღარ მაცალა მეტიჩარა ბეშტიამ.—მე, ლევანმა და გოჩმანმა „წითელ არმიელში" ბეწვის ხიდი" გავაბით. ეხლა ლევანმა გამოგვაგზავნა ჯარში „ხიდზედ" გასატარებელ ხალხის მოსალალედ...

— კარგი, მაგრამ ჩემგან რა გინდათ?

— როგორ თუ რა გვინდა!! ნებართვა გვინდა, რომ წითელი ჯარი მოვიაროთ, თორემ ვინმე ხულიგნები ვეგონებით, მეტადრე გოჩმანა, ოც კოკიან რუმბს, რომ მიჰგვანებია"... მე ბეშტიას მაგიდიდან მუშტი დავანახვე, რომ ენა დაემოკლებია და ჩემი საკუთარი პერსონა საოხუნჯო მასალად არ ეხმარა.

— ჰო და ერთი კარგად გაგვბრეგამენ, რაც გოჩმანასათვის სასარგებლო იქნებოდა, ევებ ქონები ჩამოყაროს და ასე აღარ მემუქრებოდეს მე მუშტით...

— მოგცემთ, მაგრამ თქვენ ვინა ხართ?

— მეე?. ამხანაგო თენგიზ, გადმოხტა ბეშტია მაგიდიდან და მედიდურად დაიწყო.— მე მუშა ვარ. ათ წლიდან თუთუნის ფაბრიკისათვის ვმუშაობ... ე. ი. თუთუნს ვეწევი... და გოჩმანა კი „ფეჩნიკია". ჩემი წლოვანება აღარ მახსოვს, რადგან ნიკოლოზის დროს, რომ ჯარში არ წავეყვანეთ - თექვსმეტ წელიწადს არ გასცილებია ჩემი წლოვანება... და სწორედ გითხრა, ეხლა რამდენი წლისა ვარ—აღარ მახსოვს ანგარიში ამერია. გოჩმანა კი კაი საკატლეტეა... ამის ხნისა მგონი ამ ოთახში ქვაც აღარა ჰგორავს... ყოფილი ოფიცერია, თორემ შენ თითონაც გეცოდინება; ურმიის ტბაში ზარბაზნებით ბაყაყებსა ჰხოცავდა...

— გააჩუმე თენგიზ! თორემ საშინელი ყბედია ეს ბეშტია! ხვალამდის არ გაათავებს...

— ბეშტი! მე შენთან სალაზღანდარო დრო არა მაქვს, უთხრა თენგიზმა ასარაკევებულ ბეშტიას.

— ეს „ბეწვის ხიდი" მოსაწონია და მოგზაურობაც კარგია, მაგრამ რა სახით გაგზავნონ იქ, არ ვიცი წადით სამსონს, დივიზიის უფროსს ჰკითხეთ, რას გეტყვით ის მერე ჩემთან შემოიარეთ. გვითხრა თენგიზმა და ქაღალდებს კითხვა დაუწყო მე და ბეშტიამ შევაღეთ დივიზიის უფროსის კაბინეტის კარები.

გოჩმანი.

ტყუპი შვილებისათვის.

ტყუპი შვილების მშობიარობის შემთხვევის დროს, კომისარიატის დადგენილებით დამზღვევ კასათა წევრების ცოლებს და წევრ ქალებს დახმარება უნდა მიეცეს ორმაგი.

მოსამსახურეთა სიის წარდგენა.

შრომის ბირჟამ ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებიდან მოითხოვა მოსამსახურეთა სრული სია.

დახმარება ბავშვთა სახლებს.

ქალ. აღმასკომის განათლების განყოფილებამ საქ. დამშეულთა დამხმარე კომიტეტისაგან მიიღო 500 ფ. თეთრი ფქვილი საბავშვო სახლებისათვის.

ახალი „დიზელის“ მიღება რუსეთიდან.

ზემო ავჭალის ელექტრონულ სადგურის აღმშენებელმა კომიტეტმა შეიძინა ახალი ელექტრონის მანქანა 300 ცხენის ძალიანი, „რუსული დიზელი“, რომელიც უკვე გამოგზავნილია პეტროგრადიდან.

უმუშევრები.

1 აგვისტოს უმუშევართა აღრიცხვაზე გამოცხადდა 397 უმუშევარი, ამავე დღეს ჩაეწერა ახალი უმუშევარი—98, გაიგზავნა სამუშაოზე—171.

სამხედრო საქმე

ფოსტის მტრედები და მარბიელი ძაღლები.

1914—1918 წწ. ომში, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სარგებლობდენ სამხედრო კავშირის საშუალებათ ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის მიღწევას, მაინც ამ საქმისთვის ხმარობდენ ისეთ საშუალებებსაც კი, რომელსაც ძველის-ძველად ჩინელები და ეგვიპტელები სარგებლობდენ და ამ საშუალებათ, ზოგიერთ შემთხვევაში, ბადალი არ ჰყავდათ. ეს საშუალება იყო ფოსტის მტრედები და მარბიელი ძაღლები, რომელთაც დიდი სამსახური გაუწიეს წარსულ ომში ფრანგებსა და გერმანელებს.

უწინ ნაპოლეონ 1 ფართედ სარგებლობდა ფოსტის მტრედებით.

1870—1871 წ. ფრანკო-პრუსეთის ომის დროს მტრედებმა თავი ისახელეს და ამის შემდეგ თითქმის ყველა სახელმწიფომ მიჰყო ხელი მტრედების მოშენებას, დაგეშვას და გაწვრთნას—დაზვერვისა და ძიების საქმეში,—სამხედრო მიზნისათვის.

ფოსტის მტრედები ყოველ გარემოებაში მოქმედობენ, მიუხედავად საარტილერიო ცეცხლისა, მტვერის, ნისლისა და კვამლისა და, შედარებით თავის დროზედ, მიაქვთ მომქმედ ჯარების შესახებ სწორი ცნობანი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მტრედებს ომში სარგებლობა მოაქვთ და თუ სრულიად განუწყვეტლივ კავშირის დაჭერა არ შეუძლიათ, მაინც ყოველ შემთხვევაში და ყოველ გარემოებაში იძლევიან კავშირის არსებობას.

აგრეთვე ომში დიდი სამსახურის ასრულება შეუძლიათ მარბიელ ძაღლებს.

გერმანიის ერ-ერთ პოლკს ბრძოლის დროს ყველა გაგზავნილი მარბიელი ჯარისკაცი მოუკლეს ფრანგებს ერთ-ერთ იერიშის დროს, მიზნის მიუღწევად და აქ მარბიელმა ძაღლებმა საუკეთესოდ შეასრულეს თავის მოვალეობა: პოლკმა ბრძანება მიიღო მარბიელ ძაღლების საშუალებით, რომელსაც მიტანისას ფეხი ყუმბარით მოგლეჯილი ჰქონდა.

გამოჩენილ ძაღლს ლორდს შვიდი მედალი ჰქონდა ჩამოკიდებული საყელოზედ ბრძოლის დროს დასმენის და ბრძანებების გადაცემისათვის; ყველა ამ დასმენას და ბრძანებას ნაწილისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

დაბოლოს თუ რამდენად დიდ მნიშვნელოვანს აწევდენ მარბიელ ძაღლთა სამსახურს, გვიჩვენებს ის მოვლენა, რომ გერმანიას ომის ბოლოში ამ გვარი დაგეშილი ძაღლი 20000—ჰყავდა. ცნობების, დასმენის და ბრძანების გადაცემის გარდა, ძაღლებს ტელეფონის ქსელის გაყვანაც შეუძლიათ იქ, სადაც ადამიანისათვის ყოვლად შეუძლებელია ხოლმე. ძაღლებს აგრეთვე შეუძლიათ ფოსტის მტრედების კალათებით გადატანა მოწინავე სანგრებში.

ამჟამად ევროპის ყველა არმიებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მარბიელ ძაღლების საშუალებით კავშირის მოწყობას.

გ. ბ.

მეცნიერება და ტექნიკა

პირველი ადამიანი, რომელიც დაიბადა ჰაერში ფრენის დროს.

გაზეთ „პტი პარიზიენი“ ერთ-ერთ თავის მაისის ნომერში იტყობინება შემდეგს: ა. წ. 29 აპრილს კაპიტან ეჟენ ლებრეს უფროსობით გაფრენილ ჰაეროპლან „ანტუანეტაზე“ მოგზაურობდა აგრეთვე მისი მეუღლე-ჟენევიევა. მასთან იყვენ აგრეთვე ორი ექიმი, ბებია ქალი და ორი სანიტარი. კაპიტნის ცოლმა შვა შვილი.

ეს მოვლენა მოხდა 1000 მეტრის სიმაღლეზე, პარიზის თავზე მშვიდობიანურად.

3 საათის ფრენის შემდეგ თვითმფრენი დაეშვა მიწაზე და დედა ახლად შეძენილი შვილით დაუბრუნდა სახლს. ეს პირველი ბავშვია კაცობრიობის არსებობის მთელ სიგრძეზე, რომელიც დაიბადა ჰაერში ფრენის დროს.

რეკლამა.

ერთ ამერიკულ საკციონერო საზოგადოებამ ააშენა მოძრავი თეატრი, რომელიც იტევს 500 კაცს: თეატრში დასწრება უფასოა: საჭიროა მხოლოდ ტალონის წარდგენა, რომელსაც იძლევიან ამავე საზოგადოების მაღაზიებში საქონლის ყიდვის დროს. საპრემიოთ თეატრის ტრუპა შესდგება 26 კაცისაგან.

ასტრონომები იტყობინებიან, რომ ვარსკვლავ „ბეტა“ გასკდა აფეთქებით.

ამ ვარსკვლავის დედა-მიწიდან უდიდესი მანძილით დაცილების გამო სინათლის სხივებმა გაიარა მთელი ეს მანძილი 100 წლის განმავლობაში, ასე რომ ამ ვარსკვლავის აფეთქება მომხდარა ასი წლის უკან და ჩვენამდე კი ამ სურათმა ეხლა მოაღწია პრისტონის ობსერვატორიის ერთი პროფესორთაგანი ამტკიცებს, რომ მზე რომ ასეთ ნაირად აფეთქებულიყო, ჩვენი დედა-მიწა სრულიად მოისპობოდა. თუმცა მსოფლიო ძალიან აგვიანებს თავისი ახალი ამბების გადმოცემას და კაცობრიობამ შესძლო მათი გადმოცემა რადიო საშვალებით უმოკლეს დროში ვიდრე ასი წელიწადია.

—

— ამერიკის ქალაქების ზღაპრული ზრდა შესაძლებელი გახდა განსაკუთრებული გეოგრაფიული პირობების გამო. საერთო ჯამში რომელიმე ქალაქის სიდიდე და შტატის სიდიდე განისაზღვრება ბუნებრივი პირობებით, მდებარეობის მოხერხებულობით, ნიადაგით, ჰავით. ტყეების სიმდიდრით, მინერალური რესურსებით და სხვა.

ისეთი ქალაქები, როგორიც არიან: ქ. ჩიკაგო, სტ. ლუისი, მინეაპოლისი, კლივლენდი, ნიუ დეტროიტის გიგანტიური ზრდა მიეწერება იმ გარემოებას, რომ ისინი წარმოადგენენ ბუნებრივად სატრანსპორტო ცენტრებს იმ უზარმაზარ ვაკე გაშლილ ადგილ მდებარეობის, რომელიც თავისი სიდიდით უდრის მთელი ევროპის ნახევარს. ამ გაშლილ ადგილზე დაუბრკოლებლად შეიძლებოდა საგზაო საქმის თავისუფალი წარმოება და ეხლა იქ არის მთელს ქვეყანაზე ყველაზე უფრო სქელი რკინის გზის ქსელი. მეტიც, ერთი შტატი ილიონისი შეიცავს—10.000 მილზე მეტ რკინის გზის ზედაპირს. ქ. ჩიკაგო 27 რკინის გზის ლიანდაგის თავშესაყარი კვანძია. ეს უმდიდრესი რკ. გზ. ცენტრია მთელ მსოფლიოში.

ეს უზარმაზარი ცენტრალური დაბლობი, რომელიც გაშლილა აპალატსკის მთებიდან სალი-კლდის მთებამდე უხსოვარ დროში წარმოადგენდა ოკეანის ძირს, რომელიც მთელი ეპოქების განმავლობაში განიცდიდა ატმოსფერული პირობების ზეგავლენას, შეიქმნა მეტად ნოყიერი ნიადაგი, მინერალური რესურსების სიუხვით დაჯილდოვებული.

აქედან, მთელ მსოფლიოში იღებენ რკინის მადანის მარაგის მთელ ნახევარს.

მარტო ერთ ილიონისის შტატში ამოაქვთ 60.000.000 მეტი ტონა ქვანახშირი. ეს იმ ქვანახშირის რაოდენობას აღემატება, რომელიც საჭიროა საფრანგეთის, ან იაპონიის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

რკინის მადანის და ქვანახშირის ასეთმა სიუხვემ შესაძლებელი გახადა ფოლადის ჩამომსხმელი და მასთან დაკავშირებული ინდუსტრიის ასეთ სიძლიერით განვითარება. ეს დაბლობი დიდი ხანია იზიდავდა აგრეთვე მიწის მომუშავეებს.

მის მინდვრებზე შესანიშნავი წარმატებით იზრდება ამერიკული ხორბლის პროდუქტი—სიმინდი. სამეოთხედი მთელი ამერიკული სიმინდისა იზრდება „სიმინდის სარტყელში“, რომელიც გადაჭიმულია პიტსბურგიდან-კანზასამდე და მინესოტიდან მდინარე ოხაიოს ნაპირებამდე. ჩიკაგოს დასავლეთის მიმართულებით გადაჭიმულია „პურის სარტყელი.“ ამერიკა ამზადებს ბილიონზე მეტ ბუშელ პურის ხორბალს, უმეტესი ნაწილი ამ ხორბლისა, გადის ჩიკაგოზე და ეს ქალაქი გადიქცა პურის ხორბლის უდიდეს ბაზრად მთელ მსოფლიოში. განსაკუთრებულმა სატრანსპორტო ნორმალურ პირობებმა გახადა ქ. ჩიკაგო აგრეთვე ხორცეულობის დამზადებელ ცენტრად.

მთელი ყურადღება

წითელ საჰაერო ფლოტს

ანტონოვ-ოვსეენკო.

ამხედრებული იმპერიალიზმი ვერ შეურიგდა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობას. ის არ იღებს ხელს თავის მტაცებლურ ზრახვებზე,—გადააქციოს ჩვენი ქვეყანა თავის უფლების მორჩილ კოლონიად.

ჩვენ მზად უნდა ვიყვნეთ. ჩვენ უნდა განვამძლიეროთ ნება ბრძოლისა და გამარჯვებისათვის.

ჩვენ უნდა განვამტკიცოთ ჩვენი შეიარაღებული ძლიერება.

უმჯობესი გზა ჩვენი სამხედრო ძლიერების განმტკიცებისა—ეს არის წითელ საჰაერო ფლოტისადმი დახმარება.

დიდი წარმატებაა მიღწეული ავიაციაში. და მსოფლიო იმპერიალიზმი, მთელ თავის ძალას მოანდომებს იმას, რათა ეს მიღწევანი მოხმარდეს მათი ბატონობის განმტკიცებას.

ამ განსაცვიფრებელ მიღწევებს ადამიანის გენიისას, იმპერიალიზმი ხდის თავისი მიზნების მოსამსახურედ.

ჩრდილო-ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ავიაციაზე დახარჯეს 260 მილიონ მანეთზე მეტი ოქროთი; საფრანგეთმა—400 მილიონამდე, იტალიამ—150 მილიონზე მეტი, ინგლისმა სამი წლის განმავლობაში—800 მილიონი მან.

პოლონეთი გაძლიერებით ავითარებს ავიაციას, ამ ჟამად მას ხელთ აქვს 600 თანამედროვე მფრინავებზე მეტი; რუმინეთს აქვს 400 საბრძოლო ჰაეროპლანი, ფინეთს—200 მდე, ესტონეთსა და ლატვიას—ასასი. მარშალ ფოშმა და ინგლისის სამხედრო მისიამ, რომლებიც მოგზაურობდენ პოლონეთსა და რუმინეთში, უმთავრესი ყურადღება მიაქციეს საჰაერო ფლოტის მდგომარეობას ამ ანტანტის მოსამსახურე ქვეყნებში.

ამერიკის კაპიტალისტები ამაყობენ, რომ მათ გააკეთეს ჰაეროპლანი, რომელიც ისვრის ბომბებს, წონით 120 ფუთამდე და რომელსაც ერთის დაკვრით შეუძლიან ჩასძიროს თანამედროვე გემი. გამოგონებულია განსაკუთრებული „ტორპედოპლანები“, რომლებიც ისვრიან მცურავ მინებს.

ინგლისელებმა ისე მოაწყვეს ჰაეროპლანი, რომ მას გადაჰყავს 50 შეიარაღებული ჯარის კაცი. უკანასკნელ ჰაეროპლანებზე ათავსებენ 30-მდე ტყვია-მფრქვევებს და მსუბუქ იარაღებს.

გაფრენის მანძილი მიღწეულია 2.000 ვერსამდე დაუსვენებლივ, ხოლო სისწრაფე საბრძოლო თვითმფრინავთა აღემატება 250 ვერსს საათში.

იმპერიალიზმმა აქცია ავიაცია საშინელ, განმანადგურებელ იარაღად.

იმპერიალიზმის სასტიკი მტაცებლები გვემუქრებიან ჩვენ.

ჩვენ მათ უნდა დაუპირისპიროთ მხნე და მძლე გუნდი ს. ს. რ. კავშირის წითელ შევარდენთა.

„ავიაცია უნდა მოექცეს მთელ ქვეყნის ყურადღების ცენტრში“, ამბობს ლ. დ. ტროცკი. ყოველმა ჩვენგანმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს წითელ საჰაერო ფლოტის დასახმარებლად.

ამ დახმარების საქმეს აწყობს „საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება“. ის ატარებს ამ საქმეს განსაზღვრულ გეგმით, რომელიც შეთანხმებულია სამხედრო საჰაერო ფლოტისა და „დობროლიოტ“-ს საზოგადოებასთან“.

ვისაც სურს აწარმოს გეგმაზე შეწონილი მუშაობა წითელი ავიაციის შექმნის საქმეში, ის უნდა გახდეს წევრი „სფმს“-სა, და შეძლების დაგვარად დაეხმაროს მის საწყისებს.

1) დახმარება ჩვენს ავიომრეწველობას. 2) დახმარება სამეცნიერო კვლევას სამოტორო—ავიოაღმშენებლობაში. 3) განვითარება ავიოსპორტისა და მასთან დაკავშირებით, ავიოსკოლებისა.

4) დახმარება საჰაერო ხაზების განვითარებას.

ჩვენ დიდად ჩამოვრჩით ავიაციის საქმეში ყველა ევროპიულ ქვეყნებს. ჩვენ უნდა გაუსწოროთ.

უნდა გვახსოვდეს—ჰაერში გაუმარჯვებლად, ჩვენ ვერ შევინარჩუნებთ გამარჯვებას მიწაზე.

[illegible]

ახალი „სურამის ციხე“.

„ჩვენი შეფი—სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატი—არ გვეხმარება. (აქ. წ. ჯ. დივჰოსპიტლელების კორესპონდენციებიდან).

ჩვენო დივ-ჰოსპიტალო
„ჯან-სახ-კომში“ გნახეო;
მითხარ შენი ჭირიმე—
რათ დაგიგო მახეო,—
ვაი-მე დივ-ჰოსპიტალო!

—

დახმარებას არ გიწევს—
და დაგტოვა მშიერი;
მის იმედის შემყურეს
დაგეკარგა იერი!..
ვაი-მე ვით მოვიცალო!

—

რომ მივიდე და ვნახო
ჩაის ვით სმენ მურაბით;
შენ კედლებს ჩაგაჭანეს
ახალგაზრდა ზურაბი.—
ვაი-მე უბედო შვილო!

ჩემო „ჯანმრთელ-სახ-კომო“
სურვილითა გნახეო;
ჩემი დივ-ჰოსპიტალი
კარგად შემინახეო—
გთხოვ რამე მომაშველო!

—

შენი დახმარებანი
არ ჩაივლის ფუჭადო;
მითხარ, შენს ყურადღებას
როდემდის და უცადო—
იქნებ ყური მათხოვო!?

—

ველი რომ ჩემ ავადმყოფთ
არ მომიკლავს ლობიო;
მსურს შენს დაპირებებსა
არ ეკიდოს ობიო—
ვაი-მე არ მომატყუო!

დაშნა.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**

ნ. დ. ს. ც.
ტირაჟი 1200.
სამხედრო სტამბა